ევროკავშირის სადამკვრივებლო მისია საქართველოში

1. ვინ ვართ ჩვენ

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში არის ევროკავშირის მიერ, 2008 წლის 15 სექტემბერს შექმნილი, შეუიარაღებელი სადამკვირვებლო მისია. ჩვენ გვყავს 200-ზე მეტი დამკვირვებელი ევროკავშირის ყველა კუთხიდან. ჩვენი სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში და ასევე გვაქვს სამი რეგიონალური ოფისი მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში. ჩვენ ვართ საერთო უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის, ევროკავშირის მიერ ამჟამად სამ კონტინეტზე განხორციელებადი 11 სამოქალაქო მისიიდან ერთი-ერთი.

2. საწყისი პირობები

2008 წლის 12 აგვისტოს, ევროკავშირის შუამდგომლობით მიღწეულმა ექვს პუნქტიანმა შეთანხმებამ დაასრულა რუსეთ-საქართველოს ხუთ დღიანი ომი. მხარეთა შეთანხმებასთან შესაბამისობაზე დასაკვირვებლად ევროკავშირის საბჭომ 2008 წლის 15 სექტემბერს შექმნა სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია. უკვე 2 კვირის გასვლის შემდეგ, 1-ლი ოქტომბრისთვის, **ევროკავშირმა შეძლო 200 დამკვირვებლის** გამოგზავნა. ეს ევროკავშირის მიერ ოდესმე განხორცილებულ მისიებს შორის ყველაზე სწრაფი გაშლა არის.

მისიის მთავარი მიზანი არის საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონში გრძელვადიან **სტაბილურობაში წვლილის შეტანა**. იმისთვის, რომ თავიდან იყოს აცილებული კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მიერ საომარი მოქმედებების განახლება, მისია აგროვებს, აანალიზებს და ახდენს ანგარიშგებას კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხების, ინციდენტების და საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ.

3. ჩვენი მანდატი

სტაბილიზაცია: ჩვენ შეგვაქვს წვლილი სტაბილურ და უსაფრთხო გარემოში საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონში. 24/7 ჩვენს თვალსაჩინო და რეგულარულ ყოფნას სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან ადმინისტრაციულისასაზღვრო ხაზების გასწვრივ აქვს პრევენციული ეფექტი: მხარეებმა იციან, რომ ჩვენ ვპატრულირებთ და შეგვიძლია დავამოწმოთ მათ მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება. ჩვენი მუდმივი ყოფნა ხელს უწყობს ადგილზე სტაბილურ ვითარებას და ზრდის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის უსაფრთხოების განცდას.

ამასთან ერთად, ჩვენ გვაქვს ნდობის აღდგენის რამდენიმე მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს დიალოგს და ინფორმაციის გაცვლას კონფლიქტის მხარეთა შორის, როდესაც საკითხებსა ან ინციდენტებზე რეაგირება არის საჭირო.

ნორმალიზაცია: ჩვენ ასევე ხელს ვუწყობთ ნორმალურ ცხოვრების დაბრუნებას იმ ადამიანებისთვის, ვისი ცხოვრებაც ყველაზე მეტად დაზარალდა კონფლიქტის შედეგად. ჩვენ ვაგროვებთ ინფორმაციას მათი ისეთი ძირითადი უფლებებისა დასაჭიროებების შესახებ, როგორებიც არის გადაადგილების თავისუფლება და მისი გავლენა ჯანდაცვაზე, განათლებაზე, პენსიაზე, საკუთრებასა და წყალზე ხელმისაწვდომობაზე. შემდგომ ჩვენ ამ ინფორმაციას გადავცემთ მათ, ვისაც შეუძლია საჭირო დახმარების შეთავაზება.

ნდობის-აღდგენა: ჩვენ ხელს ვუწყობთ კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობას და ვეხმარებით დაძაბულობის თავიდან აცილებასა და განმუხტვაში, ჩვენს მიერ მუდმივი დაკვირვების და დიალოგის ხელშეწყობის გზით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზისა და ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მეშვეობით. მისიას ასევე აქვს ნდობის აღდგენის ფონდი, რომელიც აფინანსებს მცირე ისეთ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავენ დიალოგისა და ურთიერთგაგების წარმოქმნას ადგილობრივ მოსახლეობას შორის, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს.

ევროკავშირის პოლიტიკის ინფორმირება: და ბოლოს, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაციის წარდგენით და მიწოდებით ჩვენ წვლილი შეგვაქვს ევროკავშირის და წევრი სახელმწიფოებისსაგარეო პოლიტიკაში, საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონთან მიმართებაში. ჩვენ ასევე წვლილი შეგვაქვს და ვმონაწილეობთ ჟენევის საერთაშორისო დისკუსიებში.

4. ჩვენი აქტივობები

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ხელს უწყობს გრძელვადიან სტაბილურობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის მიმდებარე რეგიონში, საკუთარი სადამკვირვებლო წარმომადგენლობით ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ, ნდობის აღდგენისკენ მიმართული საქმიანობით და მიუკერძოებელი ანგარიშგებით.

დაკვირვება

ჩვენ ვპატრულირებთ 24 საათის განმავლობაში, წელიწადში 365 დღე, მისიის მარტივად ცნობადი ლურჯი საპატრულო მანქანებით ან ფეხით დახურულ რელიეფზე.

დამკვირვებლები ჩვენს რეგიონალურ ოფისებში მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში დაყოფილები არიან სამ სპეციალიზებულ ჯგუფად. *ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის პატრულები* აკვირდებიან ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებს და მათ მიმდებარე ტერიტორიას. ისინი აკვირდებიან გადაადგილების თავისუფლებას როგორც ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე, ისე მის გასწვრივ და „ბორდერიზაციის“ საქმიანობას - ისეთი ფიზიკური ბარიერების დამონტაჟების პროცესს, როგორებიც არის ღობეები, მავთულხლართები, მოძრაობის დეტექტორები და სათვალთვალო კოშკები და რომლებიც უწყობენ ხელს ორი თვითგამოცხადებული რეგიონის დანარჩენი საქართველოსგან გამოყოფას. *ადამიანური უსაფრთხოების პატრულები* აკვირდებიან კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ადამიანის უფლებების მდგომარეობას და საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია იძულებით გადაადგილებულ პირებთან და მათ დასახლებებთან. *შესაბამისობის პატრულები* აკვირდებიან მისიას, საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროებსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის დადებულ შეთანხმებებთან შესაბამისობას. ეს შეთანხმებები საშუალებას აძლევს დამკვირვებლებს შევიდნენ კონკრეტულ ადგილებზე და დააკვირდნენ გარკვეულ სამხედრო და საპოლიციო საქმიანობას.

ნდობის აღდგენა

ერგნეთის ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმი
ერგნეთის ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრები ეწყობა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის და ეუთოს თავმჯდომარეობით და შეხვედრის შესაძლებლობას აძლევს საქართველოს, რუსეთის და დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებების წარმომადგენლებს. 2 თვეში ერთხელ შეხვედრები ქმნის ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას და ისეთი კონკრეტული ინციდენტების და საკითხების განხილვის და გადაჭრის საშუალებას, რომლებიც გავლენას ახდენენ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ მცხოვრებ ადამიანებზე. ეს საკითხები შეიძლება მოიცავდეს „ბორდერიზაციის“ ნიშნების დაყენებას, გადაადგილების თავისუფლების და დაკავებების შემთხვევებს. შეხვედრებს მრავალი პრაქტიკული მიღწევა მოჰყვა, დაკავებულების გათავისუფლებიდან, სოფლის მეურნეობის და ადგილობრივი მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებზე ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარის თანამშრომლობამდე. შეხვედრები ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა მონაწილეებს შორის მეტი ურთიერთგაგებისა და ნდობის შესაქმნელად.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ასევე მონაწილეობს ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატის შეხვედრებში გალში, რომელსაც თავმჯდომარეობს გაერო და ქმნის შეხვედრის შესაძლებლობას საქართველოს, რუსეთის და დე ფაქტო აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. ამ შეხვედრების მიზანია აფხაზეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ დაძაბულობის განმუხტვა და გადაწყვეტა. შეხვედრები ამჟამად შეჩერებულია, მაგრამ შესაძლოა განახლდეს მოკლე დროში.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ცხელი ხაზი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მართული ცხელი ხაზი ფუნქციონირებს ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ფორმატში. ეს არის დაძაბულობის ტელეფონის მეშვეობით შემცირების საშუალება: ის აძლევს კონფლიქტის მხარეებს ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას 24 საათი, კვირაში შვიდი დღე, როდესაც საკითხი ან ინციდენტი საჭიროებს მყისიერ ყურადღებას. ცხელ ხაზზე პასუხისმგებელი ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები არიან ყველა მხარეს შორის კომუნიკაციის საკვანძო რგოლი: ისინი პასუხობენ ყველა ზარს და შემდეგ უზიარებენ ინფორმაცის დანარჩენ მხარეებს. ცხელ ხაზზე განიხილება ნდობის აღდგენის ისეთი საკითხები, როგორიც არის ინფორმაციის გაცვლა დაკავებების, სარწყავი საკითხების, სამედიცინო მიზეზებით გადაკვეთის საჭიროებები და ა.შ. ცხელი ხაზი აღმოჩნდა ძალიან სასარგებლო მონაწილეებისთვის, მსგავსი ინციდენტების გარშემო არსებულ მოვლენებზე საერთო გაგების ეფექტიანად ჩამოსაყალიბებლად და ის არაერთხელ დაეხმარა შექმნილი დაძაბულობის განმუხტვას. ცხელი ხაზი წელიწადში დაახლოებით 2500-ჯერ აქტიურდება.

ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები
ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები შეიქმნა 2008 წლის ოქტომბერში ჟენევაში, შვეიცარია. ისინი ეუთოს, ევროკავშირის და გაეროს თანათავმჯდომარეობით წელიწადში ოთხჯერ იმართება და ახვედრებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს შეერთებულ შტატებთან ერთად. ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების ფორმატი და ცხელი ხაზი არსებობს პრაქტიკული საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც გავლენას ახდენს კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობაზე, ჟენევის საერთაშორისო დისკუსიები კი არის ერთადერთი საერთაშორისოდ აღიარებული პოლიტიკური ფორმატი, სადაც განიხილება საქართველოში კონფლიქტის გადაწყვეტა.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის როლი ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში არის თანათავმჯდომარეების რეგულარულად ინფორმირება ადგილზე განვითარებული მოვლენების შესახებ, ასევე უსაფრთხოების ვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თითოეულ რაუნდში მონაწილეებისთვის.

ევროკავშირის პოლიტიკის ინფორმირება

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ჩამოყალიბდა როგორც ევროკავშირის ინსტიტუტებისა და წევრი სახელმწიფოებისთვის, ასევე ფართო საერთაშორისო საზოგადოებისთვის საქართველოში უსაფრთხოების კუთხით განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით სანდო ინფორმაციის მიღების მთავარი წყარო. საჭირო დროს ეს ინფორმაცია გადაეცემა შესაბამის ადგილობრივ, ცენტრალურ და საერთაშორისო ორგანოებს ადექვატური დახმარების აღმოსაჩენად. საბოლოო ჯამში, ჩვენი ანგარიშგება საშუალებას აძლევს ევროკავშირს და მის წევრ სახელმწიფოებს შეიმუშაონ უკეთესი პოლიტიკა საქართველოსთან და უფრო ფართო რეგიონთან მიმართებაში. ჩვენ ყოველთვის ვიყენებთ „ოპერაციული მიუკერძოებლობის“ პრინციპს; ანგარიშგება უნდა იყოს ფაქტებზე დაფუძნებული და მიუკერძოებელი.

5. პროგრესი და გამოწვევები

მისიამ - მუდმივი დაკვირვების, ანგარიშგების, პატრულის სწრაფად გაგზავნის მეშვეობით რეაგირების მზადყოფნით და კომუნიკაციის მხარდაჭერით - მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების გასწვრივ უსაფრთხოების ვითარების გაუმჯობესებაში. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტები არცთუ იშვიათი იყო კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, ამჟამად სიტუაცია შედარებით სტაბილურია, ინციდენტების დაბალი რისკით.

თუმცა, შედარებითი სტაბილურობა არსებობს კონფლიქტით ყველაზე მეტად დაზარალებული მოსახლეობისთვის მზარდი გამოწვევების ფონზე - განსაკუთრებით ქალების, კაცების და ბავშვებისთვის, რომლებიც ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზების სიახლოვეს ცხოვრობენ. „ბორდერიზაციის “მიმდინარე საქმიანობა უარყოფითად აისახა მათ გადაადგილების თავისუფლებაზე როგორც ასეთზე და, მათ შესაძლებლობებზე, შეინარჩუნონ საზოგადოებრივი ურთიერთობები, დაიცვან საკუთრების უფლებები, ჰქონდეთ ღირსეული შემოსავალი და ბავშვებმა მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე.

თავად ჩვენი მანდატის კუთხით, მთავარ პრობლემად რჩება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რეგიონებში დაკვირვების შეზღუდული შესაძლებლობები. ჩვენ თავიდანვე არ გვქონია ორივე ტერიტორიაზე შესვლის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მანდატი მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას. ხელმისაწვდომობა გაზრდის გამჭვირვალობას, ცხადყოფს უკვე მომხდარ ინციდენტებს და ამით შეამცირებს მომავალი დესტაბილიზაციის მატარებელი ინციდენტების რისკს.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ერთ დღეს მოიძებნება კონფლიქტის გრძელვადიანი გადაწყვეტა, რომელიც არ საჭიროებს ჩვენი მსგავსი მისიის ადგილზე ყოფნას. იქამდე კი მისია განაგრძობს დღე და ღამე პატრულირებას, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას.

www.eumm.eu

@eummgeorgia